

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N9

ქ.თბილისი

15 აპრილი, 2022 წელი
16⁰⁰საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე	აკაკი ალადაშვილი
ლევან არველაძე	ვლადიმერ ბოჟაძე
საბა ბუაძე	ოთარ გრიგოლია
შოთა გრიგოლია	მამუკა გუგუშაშვილი
ირაკლი ეშვერაძე	ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე	მარიამ ზაქარიაშვილი
ზაზა თავაძე	ანა კაკაბაძე
მიხეილ კაკაურიძე	ნიკოლოზ კახეთელიძე
ნინო კვიციანიშვილი	სალომე კობალაძე
ცოტნე კობერიძე	ზვიად კუპრავა
კახაბერ ლაბუჩიძე	ლილე ლიპარტელიანი
ირაკლი ნადირაძე	შალვა ოგბაძე
გიორგი ონიანი	გურამ ოქროპირიძე
ლევან ჟორჟოლიანი	ალექსანდრე რატიშვილი
ნინო რუხაძე	რევაზ სოხაძე
ვახტანგ სურგულაძე	დავით ფარცვანია
გიორგი შარაშიძე	გიორგი ჩაკვეტაძე
ზურაბ ჩიკვილაძე	გივი ჩხარტიშვილი
ირაკლი ხელაძე	ალექსანდრე ზუჯაძე
ლევან ჯაფარიძე	სოფიო ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი	

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნათია ვერძაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე და დავით ჯაიანი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილეები: მარიამ კვერნაძე და თამარ მელიქიშვილი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და მიმართა საკრებულოს წევრებს, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ რუსეთ-უკრაინის ომში გარდაცვლილების ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ, წუთიერი დუმილით, პატივი მიაგო უკრაინაში მიმდინარე ომში გარდაცვლილების ხსოვნას.

ზურაბ აბაშიძემ თანადგომა და მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის დელეგაცია გაემგზავრება კიევში, რაც მისასალმებელია. მისი თქმით, ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერა უკრაინის მიმართ გამოიხატება ყოველდღიურ რეჟიმში და უკრაინის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, იმ 191 ქვეყნიდან, რომელიც მხარს უჭერს უკრაინას და მათ მიმართ გამოხატავს სოლიდარობას, საქართველო ერთ-ერთი პირველია, რაც კიდევ ერთი გამოხატულებაა იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის უკრაინა. ასევე, მნიშვნელოვანია ის დახმარება, რასაც ამ მიმართულებით ახორციელებს თბილისის მერია, კერძოდ: უკრაინელი მოქალაქეებისთვის უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა, ბავშვთა გასართობი ცენტრები, მუზეუმები, თეატრები, საცურაო აუზები, სპორტული ინფრასტრუქტურა, სახელოვნებო სკოლები, ბაგა-ბაღები და ა.შ. ხოლო, საკრებულოში შექმნილია საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც აქტიურად მუშაობს უკრაინის დიასპორასთან და ყოველდღიურ რეჟიმში იხილავს მათ პრობლემებს. ზურაბ აბაშიძემ ასევე, ისაუბრა ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე, რომ საქართველომ, ისევე, როგორც უკრაინამ და მოლდოვამ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობასთან დაკავშირებით, მიიღოს კითხვარი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს, როგორც სახელმწიფო, ასევე მთელი საზოგადოება, რათა დაჩქარებული ტემპით მივაღწიოთ ევროკავშირის წევრობას და ამ შემთხვევაში, აუცილებელია ერთიანი, კონსოლიდირებული პოზიცია. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ამ წარმატებას ყველა ერთად მივაღწევთ და საქართველო აუცილებლად გაიმარჯვებს.

ირაკლი ხელაძემ აღნიშნა, რომ დღეს, მსოფლიოში მთავარ თემად რჩება უკრაინა და იქ განვითარებული მოვლენები. მისი თქმით, საქართველო, ჰუმანიტარული კუთხით გატარებული ღონისძიებებით, მოწინავე პოზიციაზეა, რაც იმ გააზრებული პოლიტიკის შედეგია, რასაც საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს, ქართველ ხალხთან ერთად. მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია თბილისის მერის სარეზერვო ფონდის გაზრდა 2000000 ლარით, რომლის ნაწილი მიმართული იქნება საქართველოში უკრაინელი ხალხის სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თბილისის მერიამ, საკრებულოს ჩართულობით, სხვადასხვა სახის მომსახურება გაუწია 1500-ზე მეტ ადამიანს, რომელთაგან 1300 განთავსებულია სასტუმროში, სადაც სარგებლობენ სამჯერადი კვებით და ყველა საჭირო სერვისით. ირაკლი ხელაძემ ასევე, ისაუბრა დედაქალაქის მოსახლეობისთვის საჭირო საკითხებზე და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით წარმოდგენილია პირდაპირი განკარგვის წესით, საცხოვრებელი ფართების გადაცემა ორმოცდაერთი მოქალაქისთვის, რომლებიც წლებია ცხოვრობენ ამა თუ იმ მისამართზე, თუმცა აქამდე არ ჰქონდათ საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი. 2017 წლიდან დღემდე, ამ პროგრამის ფარგლებში, საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემით დაკმაყოფილდა 2300 ადამიანი, რაც მისასალმებელი და ძალიან მნიშვნელოვანია. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ თბილისის საკრებულოს უმრავლესობის თითოეული წევრის გადაწყვეტილება გამომდინარეობს დედაქალაქის მაცხოვრებლების ინტერესებიდან და საკრებულო გნაგრძობს მუშაობას ყველა იმ საკითხზე, რომელიც აწუხებს ჩვენს ქალაქს და ყველაფერს მიიყვანს ლოგიკურ დასასრულამდე.

შალვა ოგბაიძემ აღნიშნა, რომ ხვალიდან, თბილისში ამოქმედდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი მარშრუტები, კერძოდ, მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციების და მათი თხოვნის საფუძველზე, ხორციელდება ავტობუსების შვიდი და მიკროავტობუსების ათი ახალი მარშრუტის დამატება. ამასთანავე, ცვლილებები შედის უკვე არსებულ მარშრუტებშიც, კერძოდ, მცირდება ინტერვალები, გრძელდება გარკვეული სამარშრუტო ხაზები, რასაც წინ უძღვოდა მგზავრთა ნაკადებზე უწყვეტი დაკვირვება და დედაქალაქის მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია. მისი თქმით, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე

ხელმისაწვდომობის გაზრდა დედაქალაქის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და იქიდან გამომდინარე, რომ მხოლოდ ავტოპარკის განახლება ვერ უზრუნველყოფს მგზავრთა კომფორტულ გადაადგილებას, პროცესი მიმდინარეობს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობით და მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად მორგებული იქნება ჩვენი თანამოქალაქეების საჭიროებებზე.

ზურაბ ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ 18000000 ლარით ფინანსდება ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების მიმართულება, მათ შორის ყველაზე დიდი დაფინანსება, 29000000 ლარით, განხორციელდა მიმდინარე წელს, რაც, რა თქმა უნდა, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გადაიდგას უფრო მეტი წარმატებული ნაბიჯი ყველაზე მეტად შეჭირვებული ხალხისთვის. ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების მიმართულება ქალაქს ემსახურება 34 პროგრამით და ქვეპროგრამით, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების და მოზარდების რეაბილიტაციის და თერაპიის განხორციელება. მიმდინარე სხდომაზე ამ კუთხით წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტი გაზრდილია 6000000 ლარამდე და თერაპიული მკურნალობის სარეაბილიტაციო ცენტრს დაემატება 175 ბავშვი. ასევე, იზრდება სერვისის მიმღები ბავშვების ასაკი და ნაცვლად 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა, მომსახურებას მიიღებენ 23 წლამდე ასაკის ბენეფიციარები. საუბრის ბოლოს, ზურაბ ჩიკვილაძემ საკრებულოს თითოეულ წევრს, განსაკუთრებით კი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებს, დიდი მადლობა გადაუხადა მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტიური ჩართულობისთვის, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების აბილიტაციის ქვეპროგრამაში, როგორც ბენეფიციართა რაოდენობის, ასევე, ასაკობრივი ზღვარის გაზრდა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო აღნიშნული საკითხის მომზადების პროცესში. მისი თქმით, ადამიანის ჯანმრთელობა არის უმთავრესი პრიორიტეტი და ამას თბილისის საკრებულოს და მთავრობის წევრები, თავიანთი გადაწყვეტილებებით, ამტკიცებენ ყოველდღიურად.

გიორგი ონიანი გამოეხმაურა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უკრაინაში ვიზიტთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ ამ ვიზიტს, სამწუხარო პრეისტორია აქვს. კერძოდ, როდესაც გამოქვეყნდა ქალაქ ბუჩაში გადაღებული კადრები, იქ მომხდარი ფაქტები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ორი ქვეყნის ხელისუფლებამ: რუსეთის და საქართველოს. მისი თქმით, ეს იყო განცხადება, როდესაც შიდა პოლიტიკით გატაცებულმა ადამიანებმა კიევის მიმართულებით თქვეს, რომ „მათ ჰყავთ ხელისუფლებაში ისეთი ადამიანები, რომლებიც ასწავლიან, როგორ უნდა შემოყარონ გვამები აქა თუ იქ“, რის შემდეგაც, რაღას თავმჯდომარემ ითხოვა, რომ ეს ადამიანები ჩაბრძანებულიყვნენ უკრაინაში და ადგილზე ენახათ ის ამაზრუნენი რეალობა, რაც დატრიალდა ბუჩაში. თუმცა, მაინც კარგია, რომ შალვა პაპუაშვილი, უკრაინიდან დაბრუნების შემდეგ, დარწმუნებით ეტყვის თავის კოლეგებს უმრავლესობიდან, რომ რუსეთმა ბუჩაში „განახორციელა სიზაზიზდრე და ომის დანაშაული“. გიორგი ონიანმა ისაუბრა უკრაინელების მიმართ გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებაზე და განაცხადა, რომ ძალიან კარგია, როდესაც თბილისის მერია და საკრებულო ახორციელებს ჰუმანიტარულ დახმარებას, თუმცა ბევრად მნიშვნელოვანია პოლიტიკური გზავნილები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტურად აცდენილია ჩვენი მეგობრების პოზიციას და, სამწუხაროდ, ძალიან დაახლოებულია რუსეთის ფედერაციის პოზიციასთან და სწორედ ამიტომ, პირველ რიგში, გამოსასწორებელია ეს კონტექსტი. საუბრის ბოლოს, ევროკავშირის წევრობის კითხვარის მიღებასთან დაკავშირებით, რაც, მისი თქმით, ხელისუფლების წარმომადგენლებმა „სიამაყით მიიწერეს“, განაცხადა, რომ ეს არის ქუჩაში გამოსული ათასობით ახალგაზრდის დამსახურება, რის შემდეგაც ღარიბაშვილს მოუწია მოთხოვნის გაგზავნაზე დათანხმება და აქედან გამომდინარე, მადლობა უნდა გადავუხადოთ იმ აქტიურ ადამიანებს, რომლებმაც აიძულა ხელისუფლება, გადაედგა ეს ნაბიჯი.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა გიორგი ონიანის გამოსვლას და განაცხადა, რომ კოლეგისგან ასეთი განცხადების გაკეთება სირცხვილია და მოუწოდა ყველას, იყვნენ კორექტულები და არ გასცდნენ ქვეყნის ინტერესებს. მისი თქმით, მაშინ, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ყველა პლატფორმაზე ურყევია ჩვენი მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის და უკრაინის მიმართ, სირცხვილი და უხერხულია იმის მტკიცება, რომ ეს ასე არ არის.

ნინო კვიციანიშვილმა ისაუბრა საკრებულოს „facebook“ გვერდზე გამოქვეყნებულ აქტივობებზე და აღნიშნა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს მათზე დასწრების შეთავაზებაც კი არ ჰქონიათ და გულდასაწყვეტია, რომ სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, რომელიც ორგანიზებული იყო განათლებისა და კულტურის კომისიის მიერ, ამ კომისიის წევრი არ იყო ინფორმირებული. განაცხადა, რომ არაფერს იტყოდა იმ შემთხვევაში, ეს რომ ყოფილიყო „ქართული ოცნების“ პარტიულ ღონისძიებებზე დასწრება, მაგრამ, როსედაც, საუბარია ისეთ აქტივობებზე, რომელიც ყველას ეხება და მთელ ერს აერთიანებს, მათ შორის, 9 აპრილს დადუპულთა მემორიალზე საკრებულოს სახელით თაიგულის გაგზავნა, საკრებულოს ოპოზიციონერ წევრებთან მინიმუმ შეთავაზება მინც უნდა გაკეთდეს, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც მუდმივად საუბარია კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე და ამ დროს კონფრონტაციის მხარედ ყოველთვის გამოგყავს ოპოზიცია. ნინო კვიციანიშვილმა ასევე, ისაუბრა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებაზე და განაცხადა, რომ, როდესაც საუბარია დემოკრატიაზე და წინ გადადგმულ ნაბიჯებზე, ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისთვის ძალიან სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება ის, რაც გამოქვეყნდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში, სადაც საუბარია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა სერიოზულ დარღვევებზე, შელახვაზე, რიგ შემთხვევაში, ფეხქვეშ გათელვაზე, მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური დევნის და მისდამი არაადამიანური მოპყრობის საკითხებზე.

გიორგი ტყემალაძემ კომისიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე განაცხადა, რომ მისი აზრით, ასეთ ღონისძიებებს უნდა ესწრებოდნენ კომისიის წევრები და მიმართა კომისიების თავმჯდომარეებს, მომავალში უზრუნველყონ კომისიის წევრების ინფორმირება. რაც შეეხება 9 აპრილს დადუპულთების მემორიალთან მისვლას, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს სრული უფლება აქვთ, უმრავლესობის ფორმატში მივიდნენ და გამოხატონ თავიანთი პოზიცია, ისევე, როგორც იგივეს გაკეთება შეუძლია ოპოზიციას.

ზვიად კუპრაგამ განაცხადა, რომ როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა არის სირცხვილი, სირცხვილია ის, რომ პრემიერმინისტრი ამბობს, რომ არ მუშაობს სანქციები და საქართველო არ უერთდება სანქციებს, რომლებიც ცივილიზებულმა მსოფლიომ დაუწესა რუსეთს; სირცხვილია, როდესაც ამბობენ, რომ ბუჩაში თურმე გვამები შემოდეს და იქ ამის სპეციალისტები ჰყავთ; სირცხვილია, როდესაც კობახიძე არ ეთანხმება ბაიდენს. მან ასევე, ისაუბრა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშზე, რომელიც გაკეთდა საქართველოსთან მიმართებაში და განაცხადა, რომ ის არის უკიდურესად მძიმე და ეღუარდ შევარდნამის მმართველობის პერიოდშიც კი არ ყოფილა მსგავსი განცხადება დასავლეთის და ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. მისი თქმით, ძალიან სასიხარულოა, რომ ევროკავშირისკენ მივდივართ და ეს ნამდვილად ქართველი ხალხის მონაპოვარია, თუმცა, საქართველოს ყველა მოქალაქემ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენ ევროპაში ვერ შევალთ და ვერც წინ წავალთ მანამ, სანამ საქართველოს მესამე პრეზიდენტი გვეყოლება ციხეში და დემოკრატიულად, არჩევნების გზით, არ შეიცვლება ხელისუფლება.

კონსტანტინე ზარნაძე გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების კომენტარებს და განაცხადა, რომ სირცხვილია რუსების მიერ, 2005 წელს მოკლული 25 წლის კაპრალის მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ, მიხეილ სააკაშვილის მიერ, სოჭის ოლიმპიადასთან და რუსეთის პრეზიდენტთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მინისტრების მიერ გაკეთებული განცხადებები მაშინ, როდესაც ცხინვალში ილუპებოდნენ ქართველი ჯარისკაცები. კონსტანტინე ზარნაძემ სხდომაზე წარადგინა ევროპის საბჭოს 2008 წლის ომთან დაკავშირებული რეზოლუცია, წაიკითხა მე-5 პუნქტი და

განაცხადა, რომ სირცხვილია ამ რეზოლუციაზე ხელმოწერა. მისი თქმით, ასევე, სირცხვილია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის ლიდერების ბოლო დროინდელი საქციელი, როდესაც ისინი საერთაშორისო დონეზე ცდილობენ საქართველოს სახელის ლაფში ამოსვრას. საუბრის ბოლოს, კონტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებამ კარგად დაინახა „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ შორის ვინ არის მიმართული ქვეყნის სტაბილური განვითარების, მშვიდობისა და თავისუფლებისკენ.

დავით ფარცვანიამ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები გადაიქცა ორი პარტიის პერფორმანსად, რაც მოსახლეობას არ აინტერესებს და ურჩევნია, ვიყოთ ერთიანები. მისი თქმით, თბილისის საკრებულოს ფუნქციონირებისთვის, გადასახადის გადამხდელები ხარჯავენ მილიონობით ლარს, თუმცა, საკრებულოს წევრები ვიკრიბებით თვეში ერთხელ და ვატარებთ პერფორმანსებს. დავით ფარცვანიამ განაცხადა, რომ თბილისის მერმა საკრებულოს დაუკარგა ფუნქცია, რადგან ქალაქი არ არის მარტო სკვერი, დაგებული გზა და ბადის მშენებლობა, ძლიერი ქალაქი ნიშნავს ძლიერ საკრებულოს და მერიას, რასაც დედაქალაქის მერი არ ითვალისწინებს. 2021 წლის 7 დეკემბერს, კახა კალამემ საკრებულოს წევრებს მოუწოდა ერთიანობისკენ და განაცხადა, რომ მზად არის ყველასთან თანამშრომლობისთვის, თუმცა, ეს თანამშრომლობა არსად ჩანს და ამის დასტურია ის, რომ თბილისის მერი არ პასუხობს საკრებულოს ოპოზიციონერი წევრების მიერ გაგზავნილ წერილებს. საუბრის ბოლოს, დავით ფარცვანიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია საკრებულოში შეიქმნას ანტიკორუფციული კომისია, რომელიც დეტალურად გამოიკვლევს და შეისწავლის ყველა საკითხს, სადაც შესაძლებელია არსებობდეს კორუფციის ნიშნები.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ მას საკრებულო არ მიაჩნია იმ ორგანოდ, სადაც უნდა გაიმართოს პოლიტიკური პაექრობა. მისი თქმით, საკრებულოს დანიშნულებათა იზრუნოს თბილისზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული ქალაქია ევროპაში, მოგვარებული არ არის უპატრონო ცხოველების პრობლემა, მოუგვარებელია ბოშების საკითხი და სხვა მრავალი ისეთი პრობლემა, რომელიც აწუხებს მოსახლეობას. ვახტანგ სურგულაძე ასევე, გამოეხმაურა იმ განცხადებებს, სადაც ითქვა, თუ რას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლება უკრაინისა და უკრაინელი ხალხის დასახმარებლად და განაცხადა, რომ უკრაინაში ყოფნისას შეხვდა, როგორც ქალაქის საკანონმდებლო და აღმასრულებელ, ასევე, ოლქის ხელისუფლებას, სამხედრო პირებს, უბრალო მოქალაქეებს და ყველას აქვს ერთი კითხვა - „თქვენი ქვეყანა პოლიტიკურ მხარდაჭერას რატომ არ გვიცხადებს და რატომ არ უერთდება სანქციებს?“ ამიტომ, როდესაც ვსაუბრობთ დახმარებაზე, უნდა ითქვას, რომ უკრაინას არ ვუწევთ მთავარ დახმარებას და ეს მთელმა მსოფლიომ კარგად იცის.

ცოტნე კობერიძემ ისაუბრა თბილისში მიკროავტობუსების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ ალბათ ყველასთვის შესაძენვეია მიკროავტობუსების მომლოდინე ხალხის რიგი, რაც გამოწვეულია არა იმით, რომ რომელიმე მარშრუტზე დასამატებელია მიკროავტობუსი, არამედ, მას შემდეგ, რაც მარშრუტკაში აიკრძალა ფეხზე დგომა, მიკროავტობუსებში ფაქტობრივად აღარ არის თავისუფალი ადგილი. აქედან გამომდინარე, ადამიანები იძულებულები არიან სამსახურში წავიდნენ ტაქსით, რაც მათ ყოველდღიურად კიდევ უფრო აღარბებს. გარდა ამისა, მიკროავტობუსის მძღოლებს ეძლევათ ხელფასი, შესაბამისად, აღარ აქვთ მგზავრებთან ფინანსური ინტერესი და ამის გამო, ხშირია შემთხვევები, როდესაც მიკროავტობუსში არის თავისუფალი ადგილი, თუმცა მძღოლი მაინც არ უჩერებს მგზავრს. რაც შეეხება მეტროს, მისი თქმით, ესკალატორები გადაქცეულია კიბედ და ეს გრძელდება უკვე ერთ წელზე მეტია და განაცხადა, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმართულებით დღეს არსებული პრობლემა მნიშვნელოვანია და დაინტერესდა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ხვალიდან, ახალი მარშრუტების დამატებასთან ერთად, გარკვეული ცვლილებები ხორციელდება უკვე არსებულ ხაზებზე, ასევე, ემატება მიკროავტობუსების ერთეულები და აქედან გამომდინარე, გვაქვს მოლოდინი, რომ მსგავსი შეფერხებები აღარ იქნება. რაც შეეხება მძღოლთან დაკავშირებით მიდგომას, მისი თქმით,

სწორია, რადგან ადრე, მძლოლები ელოდებოდნენ მიკროავტობუსის გავსებას, არ რთავდნენ კონდიციონერს, მგზავრები იდგნენ ფეხზე და ეს ყველაფერი ძალიან არაკომფორტული იყო მოქალაქეებისთვის, ხოლო დღეს, როდესაც მძლოლს აღარ აქვს მგზავრთან ფინანსური ინტერესი, ბევრად უფრო კომფორტული გახდა მგზავრობა, თუმცა, შესაძლებელია კონკრეტული მძლოლი იქცეოდეს არაკეთილსინდისიერად და ამისათვის აუცილებელია მონიტორინგი. მისი თქმით, მუნიციპალიტეტის მიზანია საზოგადოებრივი ტრანსპორტი მორგებული იყოს თითოეულ მგზავრზე, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მიმდინარე სხდომაზე ამ მიმართულებით წარმოდგენილმა ცვლილებებმა.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, საქართველო სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა იმ უნიკალურ და ისტორიულ მომენტს, რაც გააჩინა შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ და უკრაინის თავდაუზოგავმა ბრძოლამ თავისუფლებისთვის. მისი თქმით, ეს არის ახალი ფანჯარა და შესაძლებლობა, რომელიც, როგორც უკრაინისთვის, ასევე, საქართველოსთვის დაჩქარდა უკრაინის დამსახურებით. ჩვენი ქვეყნის მოუზნადებლობას ადასტურებს ბოლო ერთი კვირის განმავლობაში, ჯერ ევროპარლამენტის, შემდეგ კი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალიან კრიტიკული ანგარიშები, სადაც უარყოფითად არის შეფასებული საქართველოს ხელისუფლების ჩამორჩენა დემოკრატიული რეფორმებისა და მართლსაჯულების კუთხით. ჩვენთვის, როგორც დემოკრატიული მართვის უმნიშვნელოვანესი რგოლის - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, განსაკუთრებით მტკივნეულია, თუ რამდენად მზად ხვდება ქართული თვითმმართველობა იმ უმნიშვნელოვანეს პროცესს, რასაც ჰქვია ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მოპოვება. თუმცა, საინტერესოა არის თუ არა მზად დღევანდელი თვითმმართველობა ევროკავშირის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად ან როგორ წარმოგვიდგენია, საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა იმ პირობებში, როდესაც დედაქალაქის მერი, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი წვლილი შეიტანოს თვითმმართველობის გამლიერებაში და ამით კიდევ უფრო დაუახლოვოს საქართველო ევროპულ ღირებულებებს, იქცევა პირიქით - აკნინებს და ასუსტებს თვითმმართველობას სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მისი პირადი მითითებით, მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან, არ ხდება საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა და ასევე, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს საკრებულოში ანტიკორუფციული კომისიის შექმნას, რათა ხელი შეუწყოს ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის დანერგვას საქართველოს დედაქალაქში. გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ თბილისის მერის და მერიის მაღალჩინოსნების მხრიდან, საკრებულოს წევრების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის იგნორირება, გარდა იმისა, რომ კანონის დარღვევაა, რადიკალურად ეწინააღმდეგება ევროპულ ფუნდამენტურ ღირებულებებს და დაინტერესდა, თბილისის მერი იმ თვითმმართველობით აპირებს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში, სადაც ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების კონტროლისა და მათზე ზედამხედველობის ფუნქციის ნორმალურად შესრულების საშუალება არ ეძლევა. საუბრის ბოლოს, საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა ფრაქციის „თბილისი საქართველოსთვის“ ინიციატივით, რომ უახლოეს მომავალში ჩაინიშნოს საკრებულოს სხდომა, რომლის დღის წესრიგში იქნება ერთადერთი საკითხი, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით - „ძლიერი, ადგილობრივი თვითმმართველობა და საქართველოს ევროპული მომავალი“ და იმედი გამოთქვა, რომ ამ წინადადებას არ ექნება რაიმე სახის წინააღმდეგობა და შეფერხება.

გურამ ოქროპირიძემ სამშობლო გამოუცხადა უკრაინელ ხალხს, აღნიშნა, რომ უმძიმესი სანახავია ის, რაც ოკუპანტებმა ბუჩაში, მარიუპოლში და სხვა ქალაქებში გააკეთეს და კიდევ ერთხელ თავისუფლება და გამარჯვება უსურვა უკრაინელებს. აქვე განაცხადა, რომ, რაც არ უნდა კრიტიკული იყოს განცხადებები, საქართველოს ხელისუფლების სოლიდარობა და მხარდაჭერა უკრაინის მიმართ არ შეიცვლება, რადგან არსებობს ერთი მარტივი მოცემულობა - საქართველო და უკრაინა ყოველთვის იყვნენ, არიან და იქნებიან სტრატეგიული პარტნიორები და მოკავშირეები. გურამ ოქროპირიძემ ისაუბრა განსხვავებულ აზრზე და განაცხადა, რომ

მისთვის საქმეზე ორიენტირებული, ჯანსაღი კრიტიკა დემოკრატიის ქვაკუთხედია და მის პატივისცემას იმსახურებენ ის ადამიანები, რომლებიც საქმიანად აკრიტიკებენ ამა თუ იმ უწყებას, ხოლო იმ პოლიტიკოსების საქციელი, რომლებიც ე.წ. „fake news“-ებით ცდილობენ პოლიტიკურ სივრცეში თავის დამკვიდრებას, მიუღებელია. მისი თქმით, წლების განმავლობაში, ანტიდასავლური კამპანიის ლიდერები დღეს არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრების თანაგუნდელები ან თანამებრძოლები და უხერხულია, როდესაც ამ პარტიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პროდასავლური გუნდია. აქედან გამომდინარე, გურამ ოქროპირიძეს არ სჯერა, რომ მათ უყვართ ქვეყანა და ამ მოტივით ავრცელებენ „fake news“-ებს. მისი თქმით, ასეთი საქციელით ისინი მიიღებენ მოკლევადიან დივიდენდებს, თუმცა გრძელვადიან პერიოდში ეს ყველაფერს არაფერს მოიტანს ქვეყნის ზიანის გარდა. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ ჩვენი სახელმწიფო დგას უზარმაზარი გამოწვევების წინაშე, მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი გეოპოლიტიკური პროცესები და ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ჩვენი გაკეთებული განცხადებებით ქვეყანას ვერაფრით დავეხმარებით, ნუ დავაზიანებთ მანც.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ინტერნეტში გავრცელდა ფოტო, სადაც ჩანს, რომ პარიზის მერი, სოლიდარობის გამოცხადების მიზნით, ჩავიდა კიევში და იფიქრა, რა კარგი იქნებოდა, თბილისის მერსაც რომ გაეკეთებინა იგივე, მაგრამ, იქვე გაახსენდა, რომ კახა კალაძემ მოიტყუა ვიტალი კლიჩკოსთან სატელეფონო საუბრის შესახებ. თუმცა, მისი თქმით, ეს არაფერია იმ ზიანთან შედარებით, რომელიც თბილისის მერის მხრიდან გვაქვს მიღებული, კერძოდ, საუბარია იმაზე, თუ როგორ ღიად და დაუფარავად თანამშრომლობს კახა კალაძე საქართველოში მე-5 კოლონის წარმომადგენლებთან და როგორ არის მათთან პარტნიორულ ურთიერთობებში შესული. მისთვის გამაოგნებელი იყო იმის ნახვა, რომ კახა კალაძის ნებართვით, ალტ-ინფოს და რუსეთის რბილი ძალის წარმომადგენელმა საქართველოში, კონსტანტინე მორგოშიამ, ყიფშიძის ქუჩაზე, „დემაქს ვაკეს“ ტერიტორიაზე, მიიღო უკანონო მშენებლობის ნებართვა. საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ მან ამ საკითხს მიუძღვა ბრიფინგი, თუმცა პასუხად მივიღეთ ის, რომ ეს იყო აბსურდული ბრალდება და იმ მშენებლობაზე ყველაფერი წესრიგშია. განაცხადა, რომ უზარმაზარი კორპუსის მშენებლობის ნებართვა გაცემულია ისე, რომ იქ მისასვლელი გზა არ არის მწყობრში და აბსოლუტურად მოუწესრიგებელია სატრანსპორტო სქემა. მისი თქმით, ამ მშენებლობით კონსტანტინე მორგოშიამ მიიღო 110000 დოლარის შემოსავალი ფულის სახით და რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი უძრავი ქონების სახით, რაც ნიშნავს იმას, რომ „ქართული ოცნება“ და კახა კალაძე, რომელიც ამ პარტიის გენერალური მდივანია, კი არ უპირისპირდებიან საქართველოში „შავ-ბნელი ძალების აღზევებას და ფრთების გაშლას, პირიქით - იმისთვის, რომ მათ შანტაჟს არ დაექვემდებაროს, ეს ადამიანები იყვნენ ჩუმად და ისევე არ მოუწყონ კონტრაქციები, როგორც ოპოზიციას უწყობენ, მათი დუმილი იყიდა“. თუმცა, არაფერია გასაკვირი იმ ქვეყანაში, სადაც ოფიციალური სტატისტიკით, „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, არცერთი რუსი ჯაშუში არ ყოფილა გამოაშკარავებული და როდესაც საუბარია იმაზე, თუ როგორია უკრაინის მხარდაჭერის ხარისხი, იქვე უნდა ითქვას, თუ როგორ ვემსახურებით საკუთარი ქვეყნის ინტერესებს - კახა კალაძე მშენებლობის უკანონო ნებართვის მიღების შესაძლებლობას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტს ძირს უთხრიან. აქედან გამომდინარე, პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ მოდის თბილისის მერი საქრებულოში და რატომ ეშინია ჩვენს წინაშე წარდგომა, არის ის, რომ მას არ აქვს პასუხი ასეთ კითხვებზე და ვერც ექნება, რადგან შეუძლებელია რაიმე პასუხი გქონდეს იმაზე, რატომ და როგორ აზიანებ შენი ქვეყნის სუვერენიტეტს და რატომ აძლევ საშუალებას საქართველოში ფესვები გაიდგან მტრული ძალების წარმომადგენლებმა.

გიორგი ტყემალაძემ ყიფშიძის ქუჩაზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მისი ინფორმაციით, სამართლებრივად ყველაფერი სწორია, თუმცა, თუ ხარვეზია სერვიტუტთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, საკითხი დეტალურად გამოვიკვლიოთ და თუ რამე დარღვევაა, გამოვასწოროთ. გიორგი ტყემალაძე ასევე, გამოეხმაურა საბა ბუაძის მიერ კახა კალაძესთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და

აღნიშნა, რომ ასეთი ბრალდება არასწორი და არაადეკვატურია და ალტ-ინფოსთან „შეთქმულების თეორემებზე“ საუბარი, როგორც თბილისის მერის, ასევე, თითოეული ჩვენგანის შეურაცხყოფაა.

ლილე ლიპარტელიანი გამოეხმაურა კონსტანტინე ზარნაძის გამოსვლას და განაცხადა, რომ ძალიან დიდი სირცხვილია, საკუთარ ქვეყანას ომში ადანაშაულებდე, მით უმეტეს იმ ქვეყანას, რომელიც საუკუნეების მანძილზე, ორ ცივილიზაციას შორის გადარჩენისთვის იბრძვის თავდაცვითი ომებით და ასევე, სირცხვილია ომში მყოფი ქვეყნის პრეზიდენტს ან მთავრობის რომელიმე წარმომადგენელს ბრალს სდებდე ნარკოტიკების მოხმარებაში და ა.შ. ლილე ლიპარტელიანმა ასევე, ისაუბრა თბილისის მერის სარეზერვო ფონდზე და აღნიშნა, რომ სარიტუალო ხარჯები დაფინანსებულია, როგორც წარმომადგენლობითი ხარჯი, რაც, მისი თქმით, სწორია, მაგრამ საინტერესოა, კახა კალაძის მხრიდან დახარჯული სარიტუალო ხარჯები არის თუ არა დანაშაული და თუ არ არის, მაშინ რატომ არის დანაშაული მიხეილ სააკაშვილის მიერ გაწეული ხარჯები და რატომ ზის ციხეში მაგ ბრალდებით.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ ესმის კოლეგების ემოციური გამოსვლა უკრაინასთან დაკავშირებით, რადგან ეს ქვეყანა არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი და, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისგან გვინდა მაქსიმალურად უფრო მეტი, განცხადებიდან დაწყებული, სანქციებზე შეერთებით დამთავრებული. მისი თქმით, ეს არის ცივილიზაციური ომი და ამ ომში, საქართველო უნდა იყოს სწორ მხარეს და მიმდინარე პროცესებში ჩაერთოს მაქსიმალური მხარდაჭერით. ირაკლი ნადირაძემ ასევე, განაცხადა, რომ მანამ, სანამ „ქართული ოცნება“ საუბრობს ევროკავშირში შესვლაზე, გასაოცარ დემოკრატიაზე და წარმატებებზე, გრძელდება კორუფციული ტენდენციები და კახა კალაძე აგრძელებს თანხების გადაქაჩვას მილანში, რის დასტურადაც შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, მათ შორის, გარე სანათების და ნაგვის ურნების შესყიდვები. აღნიშნა, რომ გარე სანათების მოწყობის შესყიდვაზე დაახლოებით ერთი წელია მიმდინარეობს ტენდერი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ათი კომპანია, თუმცა ცხრა მათგანი დისკვალიფიცირებულია, ხოლო დარჩენილი მათე კომპანია არის იტალიური, მილანური კომპანია, რაც, მისი აზრით, შემთხვევითი არ არის. აღსანიშნავია, რომ ცხრა დისკვალიფიცირებული კომპანიიდან ერთის დამფუძნებელი არის ბიძინა ივანიშვილის პირადი ელექტრიკოსი და „ალბათ რომ არ განაწყენებულიყო“, მის კომპანიასთან, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, გააფორმეს ხელშეკრულება. მისი თქმით, ამ ქალაქში არსებული ძალიან ბევრი პრობლემის და გაჭირვების ფონზე, მერიამ უნდა შეისყიდოს 42960 ლარიანი ნაგვის ურნები და განაცხადა, რომ თბილისი რომ იყოს პარიზი, ლონდონი, ოსლო, სტოკჰოლმი ან ისეთი ქალაქი, სადაც შეიძლება არ იცინა ფული სად წაიღონ, არავინ არაფერს იტყვის, ოქროს ურნების დადგმაზეც, მაგრამ ქალაქში, სადაც უამრავი ინფრასტრუქტურული, სოციალური, ეკოლოგიური პრობლემებია და გლდანადან დაწყებული ვარკეთილით დამთავრებული არსებული ნაგვის ურნები ვერ გამოგვიცვლია, 42000 ლარიანი ნაგვის ურნების ყიდვა უდიდესი პრობლემა და თანხების ფლანგვაა. მისი თქმით, ამ შემთხვევაშიც აღსანიშნავია, რომ კონტრაქტი ფორმდება „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ბექა ოდიშარიას ქვისლის კომპანიასთან. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ირაკლი ნადირაძემ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „თუ თქვენ გინდათ, რომ ანტიკორუფციული და სარევიზიო მიმართულებით სრულყოფილად იქნას გამოძიებული კონკრეტული ქეისები, ესეთ შემთხვევებთან არ გვქონდეს საქმე და საზოგადოებას ვუთხრათ ტყუილ-მართალი, „ქართულ ოცნებას“ აქვს შესაძლებლობა, რომ ამ კომისიაში უმრავლესობა დაუთმოს ოპოზიციას. თუ თქვენი ნებაა, რომ კორუფციის ფაქტები იქნას და გამოვლენილი, დათმეთ სარევიზიო კომისიის უმრავლესობა და მერე ნახავთ კიდეც, რამდენი ქეისი იქნება გამოვლენილი ჩვენს მიერ“.

მამუკა გუგუშაშვილმა მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს იმისთვის, რომ ყველა სხდომაზე წუთიერი დუმილით პატივს მიაგებენ უკრაინაში გარდაცვლილებს და ასევე, მადლობა გადაუხადა ყველა იმ ქართველს, რომელიც იბრძვის უკრაინაში. გაიზიარა

კოლეგების აზრი, რომ ალტ-ინფო არის რუსული პარტია და მისი პირდაპირი თუ ირიბი გზით დაფინანსება არის ღალატი და მოუწოდა სარევიზიო კომისიის წევრებს, შეისწავლონ ეს საკითხი და განაცხადონ, რომ თუ ალტ-ინფო ფინანსდება თბილისის მერიის მიერ, ეს იქნება ქვეყნის ღალატი. ასევე, ისაუბრა იმაზე, რომ თუ საქართველოს უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, უკრაინის ხელისუფლების კითხვებს პასუხი უნდა გავცეთ არა ვლადიმერ ზოჟაძის სიტყვებით, არამედ უნდა დაიწყოს გამოძიება და ჩვენი სიმართლე დავადასტუროთ გამოძიებით. ასევე, კარგად უნდა მოვისმინოთ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნა, რომელიც ძალიან აზარალებს ჩვენს ქვეყანას. მამუკა გუგუშაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ ერთობლივად, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველო იყოს იმ რელსებზე, რომელსაც ცივილიზებული სამყარო ჰქვია და აღნიშნა, რომ ცივილიზებული სამყარო დგას უკრაინის მხარეს და უკრაინის ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლის დადანაშაულება არაკორექტულია. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა კონსტანტინე ზარნაძის მიერ ევროპის საბჭოს რეზოლუციასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ არსებობს ორი რეზოლუცია, რომლებიც დევს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ვებგვერდზე და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია ნახოს, თუ რომელ რეზოლუციაზეა ხელი მოწერილი. თუმცა, რაზეც არ უნდა მოეწერა ხელი მაშინდელ ხელისუფლებას და რაც არ უნდა გაეფუჭებინა, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ დღევანდელი შესაძლებლობა და საქართველომ უნდა დაიმკვიდროს ის ადგილი, სადაც ჩვენს მომავალ თაობას გაუხარდება ცხოვრება.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა ისაუბრა „საქანელას“ პროექტზე, სადაც, საკრებულოს წინა სხდომაზე აღმოჩნდა, რომ ყველაზე დიდი კორპუსის მაქსიმალურ სიმაღლესთან დაკავშირებით იყო გარკვეული უზუსტობა, რაზეც თბილისის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სიმაღლე მითითებული იყო მიწისქვეშ არსებული სართულიდან და აღნიშნა, რომ კანონში წერია სხვა რამ, კერძოდ, სიმაღლე იზომება კორპუსის ძირიდან. განაცხადა, რომ საკითხში დეტალურად გარკვევის მიზნით, ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით, მიმართა მერიის წარმომადგენლებს, რომელთა მხრიდანაც კვლავ იყო მისი შეცდომაში შეყვანის მცდელობა და განუმარტეს, რომ იქ არსებულ ყველა კორპუსს აქვს საერთო პარკინგი, თუმცა, მსგავსი რამ საკრებულოში წარმოდგენილ მასალებში არ არის მითითებული. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრები გადაწყვეტილებას იღებენ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და როდესაც ეს დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, სერიოზული პრობლემაა. ბარბარა ჯიმელი სულაშვილის თქმით, აღნიშნულ მშენებლობასთან დაკავშირებით, გრგ უკვე დაამტკიცა საკრებულომ და ეხლა ამაზე საუბარს აზრი არ აქვს, თუმცა, მერიის წარმომადგენლების მცდელობა შეგვიყვანონ შეცდომაში მიუღებელია, რადგან ჩვენი ფუნქციაა მათი კონტროლი, ხოლო მათი ვალდებულებაა გამჭვირვალედ მუშაობა და საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულება. განაცხადა, რომ თბილისის მერი და მერიის სამსახურების უფროსები არ მოდიან საკრებულოს წევრებთან შესახვედრად, არ პასუხობენ საკრებულოს წევრების მიერ გაგზავნილ წერილებს, მერიიდან მასალები საკრებულოში შემოდის დაგვიანებით, არ ტარდება საკრებულოს მორიგი სხდომები და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს - „როგორ წარმოგიდგენიათ ასე თანამშრომლობა და რა კონსტრუქციულობაზეა საუბარი?“

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ აბსოლუტურად მისაღებია ქალბატონი ბარბარას შენიშვნა და საკრებულოს თითოეულ წევრს ყველა საკითხთან დაკავშირებით უნდა ჰქონდეს პასუხი და მიმართა რევაზ სოხაძეს, რომ კომისიის ფარგლებში მაქსიმალურად დეტალურად იქნას განხილული ნებისმიერი ტექნიკური თუ შინაარსობრივი შეკითხვა.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ქალბატონმა ბარბარამ მოითხოვა შეხვედრა, რის შემდეგაც შედგა რამდენიმე შეხვედრა და ყველა მის შეკითხვას გაეცა ამომწურავი პასუხი. ამასთანავე, კომისია მზად არის ნებისმიერ დროს, საკრებულოს ნებისმიერ წევრს უპასუხოს კითხვებზე.

კახაბერ ლაბუჩიძემ განმარტა, რომ ნინო კვიციანიშვილის ინფორმირება სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვასთან დაკავშირებით შესაძლოა ვერ მოხერხდა რაიმე ტექნიკური ხარვეზის გამო, რადგან ნებისმიერი მსგავსი აქტივობის შესახებ ინფორმაცია

ეგზავნება განათლებისა და კულტურის კომისიის ყველა წევრს. რადგან ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, მომავალში, კომისიის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი აქტივობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს პირადად. კახა ლაბუჩიძე ასევე, გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების მიერ გაკეთებულ განცხადებებს და ირაკლი ნადირაძის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე, რომ ტენდერში მონაწილე ათი კომპანიიდან ცხრას მისცეს დისკვალიფიკაცია, განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს ასეც იყო, თუმცა, დაუმსახურებლად გაცემული დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, ნებისმიერი კომპანია, მიმართავდა შესყიდვების სააგენტოს, სადაც ყველა პოულობს სამართალს. ამასთანავე, ბრიფინგის გამართვის ან რაიმე სხვა გზით, გაავრცელებდა ინფორმაციას, რომ არაკეთილსინდისიერად დაჩაგრეს და აქედან გამომდინარე, „უაპელაციოდ“ განცხადება, რომ ცხრა კომპანიას მივანიჭეთ დისკვალიფიკაცია და მათეს გავამარჯვებინეთ, მიუღებელია. კახაბერ ლაბუჩიძემ, საბა ბუაძის განცხადებაზე, რომ თბილისის მერმა მოიტყუა კიევის მერთან სატელეფონო საუბრის შესახებ, განაცხადა, რომ კახა კალაძემ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და ვინ იტყუება, ამას ვნახავთ როდესაც უკრაინაში დღეს არსებული მდგომარეობა დამთავრდება.

გიორგი ჩაკვეტაძემ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინის სახელმწიფოს და უკრაინელებს, იმედი გამოთქვა, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს კეთილი და კიდეც ერთხელ დამარცხდება ბოროტება და განაცხადა, რომ რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე განხორციელებულ სისხლისღვრას ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა, რაც, ცალსახად, ამორალურია და სცდება საერთაშორისო სამართლის და მორალის ყველანაირ ზღვარს. გიორგი ჩაკვეტაძე გამოეხმაურა ოპოზიციონერი კოლეგების გამოსვლებს და განაცხადა, რომ უკიდურესად მძიმეა ის მდგომარეობა, რომელშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური გუნდი იმყოფება და უკიდურესად მძიმე საყურებელია ის, თუ როგორ ცდილობს დესტრუქციული ოპოზიციური ძალა ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანი და გზა დააყენოს ჩრდილქვეშ და ზიანი მიაყენოს ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებს, რომელიც სწორედ ამ გეოპოლიტიკური მომენტის დროს, მიიღო ჩვენმა სახელმწიფომ. მისი თქმით, ისინი ცდილობენ შუღლი ჩამოაგდონ ქართულ და უკრაინულ სახელმწიფოებს შორის; ყოველთვის ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომელიც აზიანებს ეროვნულ ინტერესებს; ეჭვქვეშ აყენებენ ჩვენი ქვეყნის რეალურ შანსს მოიპოვოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი; ვიწრო პარტიული ინტერესებისთვის იყენებენ უკრაინაში დაგეგმილ დროულ და საჭირო ვიზიტს; ეჭვქვეშ აყენებენ უკრაინის სახელმწიფოს მიმართ საქართველოს მხარდაჭერას, რაც ყველა საერთაშორისო პლატფორმით უპრეცედენტოა; ცდილობენ საქართველოს დააკარგინონ უვიზო მიმოსვლა და ასოცირების შესახებ შეთანხმება; მათთვის მიუღებელია ყველაფერი კარგი მაშინ, როდესაც თავად არ არიან ხელისუფლებაში; დარტყმას აყენებენ ქართულ სახელმწიფოს, ეროვნულ ინტერესებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და ეკლესიას; არჩევნებიდან არჩევნებამდე ცდილობენ, საზოგადოებას თავს მოახვიონ რევოლუციური სცენარები. მისი თქმით, ამ ყველაფერს აკეთებს პოლიტიკური ძალა, რომელმაც გაყიდა საქართველოს სტრატეგიული ობიექტები და ჩააბარა ოკუპანტს, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აქვს უპრეცედენტო, ორპარტიული მხარდაჭერა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, რაც ამ ადამიანებისთვის მიუღებელია, რადგან ისინი არ არიან ხელისუფლებაში. საუბრის ბოლოს, გიორგი ჩაკვეტაძემ განაცხადა, რომ ალბათ რთულია იპოვო პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის დროს მტრობდა ქართულ სახელმწიფოს, ეკლესიას და ინსტიტუტებს, ხოლო ოპოზიციაში ყოფნისას ცდილობს, ეჭვქვეშ დააყენოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორთან, უკრაინასთან ურთიერთობა და საქართველოს ევროპული განვითარება.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ საკრებულოს ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან რამდენიმე ისეთი ბრალდება გაჟღერდა, რომ საკრებულოს სხდომა დაემსგავსა „იუმორისტულ შოუს“. გასაგებია, რომ მათ სურთ, რაღაცებში ბრალი დასდონ კახა კალაძეს, რადგან დღეს, ის ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია საქართველოში, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და ყველაფერში „შეთქმულების თეორიის“ მოგონება, არასწორი, არასერიოზული და

არაკორექტულია. ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა გიორგი ონიანის განცხადებას და მიმართა მას, რომ ჩვენ არ ვართ რომელიმე პარტიის მოქალაქეები და ვართ საქართველოს მოქალაქეები და როდესაც საკრებულოს დეპუტატი, შენს ქვეყანას ღიად ადანაშაულებ იმაში, რომ სახელმწიფოს ოფიციალურ დონეზე არ სჯერა ბუჩაში დატრიალებული ტრაგედია, რაც არის აბსოლუტური ტყუილი, ყველას გვიჩნდება ეჭვი, რომ თქვენი ინტერესი, პირველ რიგში, არის პარტიული და შემდეგ სახელმწიფოს ინტერესი და თუ ეს ასე არ არის, იმედი მაქვს ამ, წარმოუდგენლად არასწორ და არაკორექტულ განცხადებასთან დაკავშირებით, გააკეთებთ რაიმე დაზუსტებას. ასევე, გამოეხმაურა საკრებულოში ანტიკორუფციული კომისიის შექმნის საკითხს, აღნიშნა, რომ ვერ ხედავს დამატებითი რგოლის შექმნის საჭიროებას და მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს - თუ გსურთ ანტიკორუფციული მიმართულებით მუშაობა, არსებობს საკრებულოს სარევიზიო კომისია, სადაც შეგიძლიათ დააყენოთ საკითხები, ვიმსჯელოთ, შემოწმდეს კონკრეტული ორგანიზაციები, რომლებზეც არსებობს ეჭვი, გამოვიძიოთ და დავდოთ დასკვნები.

ვლადიმერ ბოჟაძე გამოეხმაურა ზვიად კუპრაგას კომენტარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სწორედ „ქართული ოცნება“ ასრულებს ყველას სანუკვარ ოცნებას და საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ასევე, გამოეხმაურა გიორგი ონიანს და განაცხადა, რომ ანრი ოხანაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შეახსენა ის, რაც თავისი თვალით აქვთ ნანახი 26 მაისს, როდესაც „ცემით და წამებით მოკლული ორი ადამიანი მალაზიის თავზე შემოალაგეს“ და შემდეგ ბოდიში მოიხადა იმიტომ, რომ ე.წ. „კრიტიკულმა მედიასაშუალებებმა“ მისი სიტყვები მიაბეს ბუჩაში მომხდარს. ვლადიმერ ბოჟაძემ ისაუბრა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაზე და განაცხადა, რომ ეს დასკვნა ძალიან მძიმეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“, რადგან „მათ დამნაშავე ლიდერს“, პარტიის წევრების გარდა, არავინ მოიხსენიებს პოლიტპატიმრად. საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერების შექმნასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და მიმართა ირაკლი ნადირაძეს - „თუ ნაციონალური მოძრაობა ან ნოდარ მელაძე, უკეთეს ფასად შემოგვთავაზებენ სამჯერ უფრო დიდი მოცულობის კონტეინერებს, ხუთწლიანი და ათწლიანი გარანტიით, უფრო ნაკლები საოპერაციო ხარჯებით, იცოდეთ, რომ მერია თქვენგან ან ნოდარ მელაძისგან შეიძენს სამომავლოდ ასეთი ტიპის კონტეინერებს“.

ირაკლი ემგვერაძე გამოეხმაურა საქართველოს მიერ უკრაინისთვის ყველა საერთაშორისო დონეზე მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ნებისმიერი სახის მხარდაჭერა და ჰუმანიტარული ტვირთის გაგზავნა, თუმცა, როდესაც საუბარია იმაზე, რომ თბილისის და უკრაინის მერების სატელეფონო საუბართან დაკავშირებით რატომ უნდა დავუჯეროთ ვიტალი კლიჩკოს და არა კახა კალაძეს, უნდა აღინიშნოს, რომ კიევში, ყველგან იგრძნობოდა, თუ როგორ უყვარდათ და როგორი პოპულარობით სარგებლობდა კახა კალაძე და დღეს, როდესაც ის ქალაქის მერია, მისი კიევში ჩასვლა და მორალური მხარდაჭერის გამოხატვა განსაკუთრებით სასიხარულო იქნება უკრაინელი ხალხისთვის. ირაკლი ემგვერაძემ განაცხადა, რომ დარწმუნებულია, კახა კალაძეს არავისზე ნაკლებად არ სტკივა ის, რაც ხდება უკრაინაში და მოუწოდა მას, „ჩავიდეს კიევში და დაუდგეს იმ ხალხს გვერდით“.

ზაზა თავაძემ განაცხადა, რომ თითოეული ჩვენგანი ცდილობს გამოხატოს მაქსიმალური მხარდაჭერა უკრაინის მიმართ და ირაკლი ემგვერაძემაც აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თბილისის მერი ჩასულიყო კიევში და შეხვედროდა მის კოლეგას. თბილისის და კიევის ურთიერთობიდან გამომდინარე, ფრაქციას „თბილისის საქართველოსთვის“ აქვს ინიციატივა, რომ საკრებულოში, რამდენიმე დეპუტატის შემადგენლობით, შეიკრიბოს დელეგაცია, ჩავიდეს კიევში და გამოხატოს უკრაინელების და კერძოდ, კიეველების მიმართ მხარდაჭერა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ნათია ვერძაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M₃ კატეგორიის და M₂ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგრო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრობა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₃ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

9. „სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ.: 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა ჯაყელი

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

12. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

13. „ქ.თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ.: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუსი N21ა-სა და კორპუსი N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, ლოლობერიძის ქუჩა N67-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

17. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

18. „ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.055.014.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

19. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

20. „ქალაქ თბილისში, პეკინის გამზირი N41გ-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.13.012.029) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

21. „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

22. „ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი N75-ში მდებარე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.007.037) უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

23. „ქალაქ თბილისში, მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში მდებარე 77.08 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.088.01.554) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

24. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N51-ში მდებარე 37.90 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.015.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

25. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩა N18-ში მდებარე 95.51 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.07.017.007.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

26. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N104ზ-ში, კორპუს N1-ში და კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

27. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N106ე-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.166.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

28. „ქალაქ თბილისში, ურეკის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.03.001.071.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

29. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.327.13.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

30. „ქალაქ თბილისში, რაფაელ დვალის ქუჩა N11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.014.011.01.526) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

31. „ქალაქ თბილისში, ვაზისუბნის დასახლება N11-ში მდებარე 60.59 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.026.02.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

32. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N144-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.027.048) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

33. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

34. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი საქსოფმანქანა) მე-5 კვარტლის კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.006.01.511) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

35. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდები: N01.19.21.002.058.01.525, N01.19.21.002.058.01.526, N01.19.21.002.058.01.527, N01.19.21.002.058.01.528) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

36. „ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N45-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.020.559) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ.: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

37. „ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N31-41-ის მიმდებარედ არსებული 193 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.16.05.026.024) 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით მანანა ქვათაძისთვის (პ/ნ. 01030002340) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

38. „ქალაქ თბილისში, ყოფილი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7320 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის: N1 და N2 (საკადასტრო კოდი: N01.18.06.018.133) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

39. „ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.675) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

40. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მიკრო/რაიონის, კორპუსი N304-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 975 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.029) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მელიქიშვილი

41. „მისამართზე - ქ.თბილისი, არჩილ მეფის ქუჩა N25ბ (ს/კ.: N01.10.07.007.093) მდებარე ობიექტისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

42. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

43. „ქალაქ თბილისში, შალვა გოგიძის ქუჩა N9, ჩაჩავას ქუჩა N2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60), აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N102, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N100, 100ა მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.02.004.121; N01.13.02.004.154; N01.13.02.004.020; N01.13.02.004.169) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

44. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.273; N81.02.01.368; N81.02.01.897) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტბე

45. „ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ყოფ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.014.338) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

46. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელი თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევი, N30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.511; N72.16.15.587; N72.16.15.238) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 სექტემბრის N458 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

47. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N72.13.33.805) საწარმოო ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N411 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

48. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ქვემო ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.: N72.16.17.448) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 თებერვლის N19 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

49. „ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ.N72, N74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

50. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებულ პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

51. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით

შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

52. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

53. „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.017) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

54. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N81.02.21.689; N81.02.21.679) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

55. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.747; N81.02.19.746; N81.02.13.953) სასტუმროსა და კულტურის დაწესებულების (ყინულის მოედნისა და ღია აუზის) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

56. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.19.916; N81.02.19.639; N81.02.19.917; N81.02.00.333; N81.02.95.377; N81.02.97.939; N81.02.19.638) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

57. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N81.02.94.165; N81.02.19.929; N81.02.19.912; N81.02.19.147; N81.02.13.548; N81.02.19.921; N81.02.13.662; N81.02.13.664; N81.02.98.636; N81.02.94.970; N81.02.94.972) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

58. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის შესახვევი N6, N12ბ, N14, N14ბ; გორგასლის II შესახვევში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდი: N01.18.09.002.001; N01.18.09.003.020; N01.18.09.003.023; N01.18.09.002.027; N01.18.09.002.020) და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

59. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.052) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

60. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.02.13.956; N81.02.13.815; N81.02.13.957; N81.02.20.299; N81.02.19.245-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

61. „ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“.

მომხსენებელი: ოთარ ჩიტაძე

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან სარეზერვო ფონდში გადადის 2000000 ლარი, რომელიც მოხმარდება უკრაინიდან ლტოლვილების სასტუმროში განთავსების და კვების ხარჯებს. ამასთანავე, წარმოდგენილია ერთ-ერთი ქვეპროგრამისთვის სახელის ცვლილება.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია უკრაინელი ხალხის დახმარება და დაინტერესდა, თანხის გამოყოფა მოხდა კონკრეტული ხარჯთაღრიცხვიდან თუ შესაძლებლობიდან გამომდინარე.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ იმ სასტუმროებში, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროგრამაში, ერთი ადამიანის განთავსება, სამჯერადი კვებით, საშუალოდ ჯდება 70 ლარი, 6 წლამდე ასაკის ბავშვებს თითქმის ყველა სასტუმრო ემსახურება უფასოდ, ხოლო 16 წლამდე ასაკის ბავშვებს - შეღავათებით. შესაბამისად, ხსენებული თანხა გამომდინარეობს ფაქტობრივი ხარჯებიდან.

ნინო კვიციანიშვილი დაინტერესდა, ხორციელდება თუ არა სასტუმროების მონიტორინგი იმ მიზნით, თუ როგორ ემსახურებიან ისინი უკრაინელ მოქალაქეებს.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს მუდმივი კონტაქტი აქვს თითოეულ სასტუმროსთან და იქ მცხოვრებ უკრაინელ მოქალაქეებთან.

წინა რუხაძემ განაცხადა, რომ ინტენსიური კონტაქტი აქვს უკრაინულ სათვისტომოსთან საქართველოში და მისი ინფორმაციით, თბილისის სასტუმროებში განთავსებული უკრაინის მოქალაქეები არიან ძალიან კარგ პირობებში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ და განმარტა, რომ შემოწმებული იქნა 12 ორგანიზაცია და გაიცა რეკომენდაციები. კომისიის დასკვნები და ანალიზი, სხვადასხვა საკითხების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, გადაგზავნილი იქნა მერიის აუდიტის სამსახურში (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ირაკლი ნადირაძე დაინტერესდა, რომელი სამსახურები იქნა შესწავლილი და რა იყო ყველაზე დიდი დარღვევა, რომელიც აღმოჩენილი იყო შესწავლის შედეგად.

ლევან ჯაფარიძემ ჩამოთვალა შემოწმებული ორგანიზაციები: შპს „ეკოსერვის ჯგუფი“, შპს „სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ი.სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ხელოვნების სკოლა - აფხაზეთი NI“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლა“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ალექსანდრე მაჭავარიანის სახელობის N26 ხელოვნების სკოლა“, შპს „თბილისის N3 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრი“, ნამალაძევის რაიონის გამგეობა, სამგორის რაიონის გამგეობა, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის N70 საბავშვო ბაგა-ბაღი“, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის N34 საბავშვო ბაგა-ბაღი“.

საბა ბუაძე დაინტერესდა: რის მიხედვით ხდება შესამოწმებელი ობიექტების შემოწმება; თუ ყოფილა პრაქტიკაში სამშენებლო სანებართვო პროცესის შესწავლა ან ხომ არ იგეგმება მსგავსი საქმიანობის შესწავლა; სარევიზიო კომისია ამოწმებს მხოლოდ საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის კანონიერებას თუ იმასაც, რამდენად იყო ესა თუ ის საქმიანობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და რა რეაგირება მოჰყვება ისეთ დარღვევებს, რომლებიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს; 2021 წლის განმავლობაში იყო თუ არა მოქალაქეების მხრიდან მომართვა დარღვევებთან დაკავშირებით და თუ იყო, რა საქმიანობას შეეხებოდა, ხოლო თუ არ ყოფილა, კარგი იქნება, საზოგადოებაში გაჩნდეს სარევიზიო კომისიასთან თანამშრომლობის მოტივაცია და საკრებულო რაიმე ფორმით გაავრცელებს ინფორმაციას და გამოთქვამს მზაობას აეწიოს მოქალაქეებთან თანამშრომლობა ამ მიმართულებით;

ლევან ჯაფარიძემ განმარტა, რომ სამშენებლო სანებართვო პროცესის შესწავლა არ მომხდარა, რადგან აღნიშნული უნდა განახორციელოს იმ კომისიამ, რომელიც გასცემს ნებართვებს, ხოლო თუ იქნება რაიმე უფრო ღრმად გამოსაკვლევი, უნდა მიემართოს სარევიზიო კომისიას ან თბილისის აუდიტის სამსახურს. აქვე, აღნიშნა, რომ კომისია ძირითადად ამოწმებს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას, ხოლო საქმიანობის კანონიერებას ამოწმებს შესაბამისი კომისია, თუმცა, თუ ამ უკანასკნელმა ვერ ამოწურა საკითხის შესწავლა, შემდეგ ხდება სარევიზიო კომისიისთვის მიმართვა. მისი თქმით, მსგავსი მიმართვა შესამდგომელია მოხდეს მოქალაქეების მხრიდანაც, თუმცა მათი მხრიდან, რომელიმე ორგანიზაციის საქმიანობის კანონიერების შესწავლასთან დაკავშირებით, სარევიზიო კომისიაში მომართვა არ ყოფილა.

სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველ შემთხვევებზე, განმარტა, რომ სარევიზიო კომისია გასცემს სწორი სისტემური მუშაობის რეკომენდაციებს, ხოლო მასალები იგზავნება აუდიტის სამსახურში, რომლის მიერაც ხდება დარღვევების დეტალურად შესწავლა.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ უნდა განვასხვაოთ ცალკეული გადაწყვეტილებების და გარკვეული ინდივიდუალური აქტების გასაჩივრების ან მათი კანონიერების შემოწმების წესი და აუდიტის სამსახურის ან სარევიზიო კომისიის საქმიანობა. მაგალითად, თუ საუბარია იმაზე, რომ თბილისის მერიის რომელიმე სამსახურის მიერ გაცემული ნებართვა თუ კონკრეტული აქტი ფორმალურად ან მატერიალურად არაკანონიერია, ის, პირველ რიგში, დაინტერესებული პირის მიერ, უნდა გასაჩივრდეს იურიდიულ სამსახურში, რის შემდეგაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში. ხოლო შიდა აუდიტის დასკვნები, რომლებიც პერიოდულად იგზავნება საკრებულოს, დარღვევების დეტალურად შესწავლის მიზნით, იგზავნება პროკურატურაში და ამის მაგალითებიც ყოფილა, მათ შორის ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ამა თუ იმ პრობლემატიკაში უფრო ეფექტურად გარკვევისთვის, უმჯობესი იქნება ამ ორი ნაწილის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ალექსანდრე რატიშვილმა აღნიშნა, რომ საკრებულოში, ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან, მუდმივად არის საუბარი იმაზე, რომ შეიქმნას ანტიკორუფციული კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სამსახურების მიერ გაწეულ საქმიანობას, სადაც შესაძლოა აღმოჩენილი იქნას გარკვეული კორუფციის შემცველი ნიშნები და გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულოს რეგლამენტში განხორციელდეს ცვლილება, რომლის საფუძველზეც საკრებულოს სარევიზიო კომისია და მერიის აუდიტის სამსახური დაკომპლექტდება ისე, რომ გადაწყვეტილების მიღება იქნება ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების პრეროგატივა.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე წუთის წინ, საკრებულოს უმრავლესობის წევრებისგან მოვისმინეთ ორი, ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება: ერთი ის, რომ ანტიკორუფციული კომისია არ არის საჭირო, რადგან შესაძლებელია ნებისმიერი საკითხის განხილვა მოხდეს სარევიზიო კომისიაში და მეორე ის, რომ, ლევან ჯაფარიძის განმარტებით, სარევიზიო კომისია ვერ იქნება ანტიკორუფციული კომისიის შემცველი. მისი თქმით, ეს ორი, ურთიერთგამომრიცხავი განმარტება ადასტურებს საკრებულოში ანტიკორუფციული კომისიის შექმნის აუცილებლობას, რომელიც დაკომპლექტებული უნდა იყოს ძირითადად ოპოზიციონერი დეპუტატებით.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ლევან ჯაფარიძის განმარტებით, ამა თუ იმ დარღვევის უფრო დეტალურად შესწავლის მიზნით, სარევიზიო კომისიას შეუძლია მიმართოს აუდიტის სამსახურს, რადგან სარევიზიო კომისიის რესურსი ფიზიკურად არ იქნება საკმარისი ყველა დოკუმენტის დეტალურად შესასწავლად. მისი თქმით, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ კონსენსუალური დემოკრატიის ქვეყანა, სადაც შესაძლებელია გვექონდეს შეთანხმების ტრადიციები და ვართ სამხრეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი საპირისპირო ტრადიციის ქვეყანა, სადაც მართვის ყველა ბერკეტს, ოპოზიციასთან კოორდინაციით, მართავს სახელისუფლებო გუნდი და როდესაც საუბარია იმაზე, რომ ოპოზიციამ უნდა მართოს რომელიმე ისეთი კომისია, სადაც არსებობს საკითხების პოლიტიკური სპეკულაციის იარაღად გამოყენების მაღალი რისკი, არამიზანშეწონილია ამგვარი კომისიის უმრავლესობაში ოპოზიციური ერთობა.

ირაკლი ნადირაძემ განაცხადა, რომ პრობლემა ძალიან ბევრია და მათ შორის არის ისიც, რომ საკრებულოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ და შესაბამისად, ძალიან ბევრი საკითხია წარმოდგენილი, რომელთა განხილვა ნორმალურ და საქმიან რეჟიმში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. თუ საკრებულოს უმრავლესობას უნდა საქმის კეთება, უმჯობესი იქნება, საკრებულოს სხდომები გაიმართოს კვირაში ერთხელ და საკრებულოს წევრებს ექნებათ შესაძლებლობა უფრო მეტად იყვნენ ორიენტირებული საქმეზე.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ საუბარია არა საკითხების რაოდენობაზე, არამედ პოლიტიკურ კონტექსტზე, რადგან მიმდინარე სხდომაზე ორი საათი საუბარი იყო არა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე, არამედ პოლიტიკურ თემებზე, რომლებიც საკრებულოს ირიბადაც შეიძლება არ ეხებოდეს. აქედან გამომდინარე, იმ ვითარებაში, როდესაც გვაქვს ასეთი პოლიტიკური ფონი, ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა მაღალი პოლიტიკური სპეკულაციის მქონე კომისიაში, მას, როგორც საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარეს, არამიზანშეწონილად მიაჩნია.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ დაახლოებით ორი-სამი თვეა, რაც საკრებულოს სხდომები იმართება თვეში ერთხელ და ძირითადად, ასე არ ხდება. თუმცა, ეთანხმება ოთარ გრიგოლიას, რომ, განსაკუთრებით ბოლო დროს, ყველა სხდომაზე 2-3 საათი ეთმობა პოლიტიკური განცხადებების ნაწილს და აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ ყველა სხდომაზე არსებობდეს იგივეს მოლოდინი.

ანა კაკაბაძის თქმით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციონერი კოლეგების მხრიდან, მიზანმიმართულად მიმდინარეობს სარევიზიო კომისიის მუშაობის დაკნინების მცდელობა და მიმართა მათ: „თითოეული თქვენი ფრაქციის წევრი, ასევე, არის ამ კომისიის წევრი და როდესაც თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ ან ცდილობთ შეურაცხყოფა მიაყენოთ ამ კომისიის მუშაობას, თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ თქვენს კოლეგებს... ძალიან გთხოვთ, ნუ გამოვიყენებთ საკრებულოს სხდომის პლატფორმას იმისთვის, რომ რაღაც პოპულისტური განცხადებები გავაკეთოთ მედიასთან მხოლოდ იმიტომ, რომ განცხადებად დარჩეს“.

ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ იზიარებს ოთარ გრიგოლიას მოსაზრებას, რომ მსგავსი ტიპის საკითხებით ყოველთვის ხდება „პოლიტიკური ჟონგლიორობა“. აღნიშნა, რომ „ვერც ერთი კომისიის წევრი ვერ იტყვის, რომ მათ რაღაც ინფორმაცია ვერ მიიღეს, დაუმალეს და ა.შ“ და განაცხადა, რომ ამ თემაზე ამდენი საუბარი ზედმეტია.

ლილე ლიპარტელიანი აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების შემდეგ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ რომ არ შესულიყო ცვლილებები, რომლის მიხედვითაც დაწესდა ზღვარი, რამდენი ფრაქცია უნდა შექმნილიყო და რამდენ ფრაქციას რამდენი წევრი შეიძლებოდა ჰყოლოდა მუდმივმოქმედ კომისიებში, დღეს მინიმუმ ორი კომისია იქნებოდა ოპოზიციური და მიმართა ოთარ გრიგოლიას - „ესე ხელოვნურად მორგებული, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შეტანილი ცვლილებებით, არჩევნების გაყალბებით მორგებული უმრავლესობით, კიდევ ბოროტად ისარგებლეთ და შესაბამისად, თქვენ ვალდებული ხართ, რომ ერთი კომისია მაინც დათმოთ. თქვენ თუ გინდათ, რომ საკითხები იყოს გამოძიებული, შესწავლილი, რეკომენდაციები სწორად გაცემული, ან ანტიკორუფციული კომისია უნდა შექმნათ და მისცეთ ოპოზიციას, ან სარევიზიო კომისია უნდა დათმოთ“. მისი თქმით, თანამდებობაზე პრეტენზია არავის აქვს და მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, მაგრამ შემადგენლობა დაკომპლექტებული უნდა იყოს ოპოზიციური უმრავლესობით, რის შემდეგაც მივიღებთ შედეგს და ვნახავთ, რეალურად რა ხდება თბილისის რაიონულ გამგეობებში.

გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ ოთარ გრიგოლიას თქმით, ანტიკორუფციული კომისიის არშექმნის ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი არის ის, რომ შეიძლება ოპოზიციონერმა დეპუტატებმა პოლიტიკური სპეკულაციისა და პოპულიზმისთვის გამოიყენონ კომისია, თუმცა, პირიქით, ოპოზიციის წარმომადგენლებს, სწორედ პოლიტიკური პოპულიზმის და სპეკულაციის დასრულებისთვის უნდათ ანტიკორუფციული კომისიის შექმნა.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ საზედამხედველო ფუნქციის გააქტიურების საკითხი გამოიწვია იმან, რომ ოპოზიცია საკრებულოში ვერ ახერხებს თავისი მანდატის სრულად განხორციელებას. მისი თქმით, აზრი არ აქვს ანტიკორუფციული კომისიის შექმნაზე, სარევიზიო კომისიაზე ან აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ოპოზიციური კანდიდატის დანიშვნაზე საუბარს მაშინ, როდესაც თბილისის მერია არღვევს

კანონს და პასუხს არ გვცემენ წერილებზე, რომლებზეც 10 დღის ვადაში უნდა გვიპასუხოვნ, მერიის თანამდებობის პირები არ მოდიან ფრაქციის სხდომაზე, რომ თურმე არ იყოს პოლიტიკური სპეკულაცია, თუმცა, სინამდვილეში, არ მოდიან იმიტომ, რომ ბევრი კრიტიკული კითხვა არის ისეთი, რომელზეც პასუხის გაცემა სააშკარაოზე გამოიქვანს ყველაფერს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ საქართველოს გარდა, არსად არ ხდება ისე, რომ მმართველი პარტია ახდენდეს პოლიტიკური და საქმიანი პროცესის ობსტრუქციას საკრებულოში.

საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტის მთლიანი შესრულება არის 96%-ზე ცოტა მეტი და პრიორიტეტების მიხედვით, დეტალურად ისაუბრა ხარჯვითი ნაწილის შესრულების პარამეტრებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 97%; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 95.8%; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 95.6%; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 97.3%; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - თითქმის 99%; ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება - 99.2%; განათლება - 97.3%; კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 86.3; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 98.7%; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 91.8%.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნათია ვერძაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში მოსარგებლების რაოდენობა იზრდება 150-ით და ყოველთვიურად, 1375 ბავშვის ნაცვლად, მომსახურებას მიიღებს 1550 ბავშვი.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა ერთ-ერთი საუკეთესო პროექტია და ამ მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდა მისასალმებელია. აღნიშნა, რომ მოლოდინის დრო იყო ძალიან ხანგრძლივი და დაინტერესდა, წარმოდგენილი ცვლილების შემდეგ, რა მდგომარეობა იქნება ამ მიმართულებით.

ნათია ვერძაძემ განმარტა, რომ გასულ წელს, განხორციელებული ბოლო ცვლილების შედეგად, განულდა მომლოდინეთა რაოდენობა, რის შემდეგაც, პერიოდულად, ისევ იზრდებოდა. ამ ეტაპზე, მომლოდინეთა რაოდენობა არის 100, მუნიციპალიტეტი

დამოკიდებულია სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში არსებულ რესურსზე და შეძლებისდაგვარად ხდება მომლოდინეების გადაყვანა მოსარგებლებად.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ თითოეული ოჯახისთვის ძალიან დიდი ტრაგედიაა ის, რომ ვერ ატარებს ბავშვს სარეაბილიტაციო ცენტრში და მომლოდინეთა რიგში მყოფი 100 ოჯახისთვის ის, რომ სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში ადგილი არ არის, სერიოზული პრობლემაა და ნიშნავს იმას, რომ მათთვის ეს პროგრამა არ მუშაობს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა მუნიციპალიტეტი დგამს თუ არა რაიმე ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

თინათინ ნიბლოშვილი დაინტერესდა, როგორ ხდება მომლოდინეთა რიგში მყოფი ბენეფიციარების გადაყვანა მოსარგებლებად.

ნათია ვერძაძემ განაცხადა, რომ, რა თქმა უნდა, კარგია, თუკი ყველა მოთხოვნა იქნება დაკმაყოფილებული, თუმცა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია მომსახურების ხარისხიც. შესაბამისად, როგორც კი დაწესებულება დააკმაყოფილებს დადგენილებით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაშინვე ხდება მისი ჩართვა პროგრამაში. არსებულ დაწესებულებებში ბენეფიციარების დამატება ხდება დაწესებულების გაფართოვების შემთხვევაში და ასევე, იმ შემთხვევაში, თუ ქცევითმა თერაპევტებმა დაასრულეს სწავლის პროგრამა და მზად არიან განახორციელონ შესაბამისი მომსახურების გაწევა.

ნინო კვიციანიშვილი დაინტერესდა, თუ ბენეფიციართა ასაკი გაიზრდება 23 წლამდე, მომლოდინეთა რიგის გათვალისწინებით, რამდენად შესაძლებელი იქნება, დამატებული მოზარდებისთვის მომსახურების გაწევა და როგორ მიდის მუშაობა იმ ბავშვებთან, რომლებიც ვერ გადიან სახლიდან და შესაბამისად, ჩართულები არ არიან არც საგანმანათლებლო პროცესში.

ნათია ვერძაძემ განმარტა, რომ პროგრამა არ ითვალისწინებს ადგილზე დახმარების გაწევას, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ონლაინ სესიები. რაც შეეხება წლის განმავლობაში ბავშვების დამატებას, აღნიშნა, რომ ამის განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ მუნიციპალიტეტი დამოკიდებულია სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში არსებული ადგილების რაოდენობაზე და ახალი დაწესებულებების გაჩენაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 38

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო საკითხი ერთმანეთთან კავშირშია და ეხება შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებისთვის, კერძოდ: მძღოლებისთვის, მებაღეებისთვის, დამლაგებლებისთვის, მთიბავებისთვის და მრავის შემკეთებლებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტით უფასო მგზავრობით სარგებლობას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M₃ კატეგორიის და M₂ კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₂ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია მიკროავტობუსების მარშრუტების კორექტირებები და დამატებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M₃ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ ცვლილებებით წარმოდგენილია ავტობუსების მარშრუტების კორექტირებები და დამატებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „სს „საქართველოს ბანკის“ (ს/კ.: 204378869) საქმესთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის მართვის სისტემასთან დაკავშირებით, სს „საქართველოს ბანკთან“ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. დავის ამოწურვის მიზნით, „საქართველოს ბანკთან“ გაფორმდა მორიგების აქტი, თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ გარკვეული საკითხები არ უნდა ყოფილიყო ამ აქტში და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ხელახალი მორიგების აქტი, სადაც ამოღებულია ის საკითხები, რომლებზეც სასამართლომ თქვა უარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელმა და განმარტა, რომ „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით დამტკიცდა აზარტული თამაშების ორგანიზატორების მიერ რეკლამების განთავსება-გავრცელების წესი, რასთან დაკავშირებითაც „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს“ დაემატა მუხლი, რომლის თანახმადაც, აღნიშნულთან დაკავშირებით სამართალთარღვევისას, წარმოების დაწყება დაევალა მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ცვლილება, რომლის მიხედვითაც ზემოთ ხსენებული სამართალდარღვევისას, საქმისწარმოების უფლებამოსილება მიეცემა თბილისის მუნიციპალურ ინსპექციას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში

არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის N8-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ზემოთ ხსენებულ დადგენილებაში 2022 წლის 18 მარტს განხორციელებული ცვლილების თანახმად, მშენებლობის ნებართვის მფლობელები გახდნენ დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები, ამასთანავე, განისაზღვა, რომ ცვლილებები შეეხებოდა 2022 წლის პირველი აპრილის შემდგომ გაცემული მშენებლობის ნებართვების მფლობელებს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, ჩამოყალიბებული იყო მთლიანი ცხრილი, ეს დათქმა უნდა გავრცელდეს მხოლოდ დამატებულ ოთხ კატეგორიაზე. შესაბამისად, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის დაზუსტება და გარდამავალ დებულებაში დაკონკრეტება, რომ ეს რეგულაცია გავრცელდება ახალი მშენებლობის ნებართვის მფლობელებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი, ისევე, როგორც წინა საკითხი, ეხება ახალი კატეგორიის მოსაკრებლის გადამხდელებს. კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ ახალი კატეგორიის წარმომადგენლები არიან მშენებლობის ნებართვის მფლობელები და მათთან მიმართებაში დასუფთავების მოსაკრებლის ამოღება უფრო ეფექტურად რომ განხორციელდეს, მიზანშეწონილია, დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა ჩაითვალოს სამშენებლო სანებართვო პირობად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქ.თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის ფორმით გაცემისას ნებართვის გამცემისა და ნებართვის მფლობელის მიერ ხელმოწერილი პირობებიან აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი“ 2009 წლის 3 აპრილის N1 და N2 ოქმებთან და „თბილისის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების“ შესახებ 2009 წლის 3 აპრილს გაცემულ N000001 და N000002 ნებართვებთან დაკავშირებით გასატარებელ რიგ ღონისძიებათა თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი

ეხება 2009 წელს, ორ კომპანიასთან გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით დაწყებულ ურთიერთობას, რომელიც დღეს დასრულებულია, ნებართვის ვადის ამოწურვის გამო, თუმცა მოსაწესრიგებელია გარკვეული საკითხები, კერძოდ, პანდემიის განმავლობაში, დაახლოებით 2020 წლის მარტიდან, კომპანიებს ჰქონდათ გარკვეული დარღვევები სანებართვო საფასურის გადახდის კუთხით, რასთან დაკავშირებითაც მუნიციპალიტეტის რეაგირების შედეგად, სრულად დაფარულია დავალიანების ძირი თანხა, თუმცა, დაგვიანებიდან გამომდინარე, პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით, კომპანიებთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები. ამ ეტაპზე, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც კომპანიები, შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, გადაიხდიან პირგასამტეხლოს 0.01%-ის ოდენობით, რაც ორივე კომპანიის შემთხვევაში, ჯამურად შეადგენს დაახლოებით 85000 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ (ს/ნ. 202886788) და შპს „ალმას“ (ს/ნ.: 204873388) შორის 2019 წლის 6 თებერვლის „შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (ს/ნ.: 202886788) ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამის განთავსების ვადიანი, სასყიდლიანი უფლების გადაცემისა და ნებართვის მქონე თეთრ ტაქსებზე რეკლამის განთავსების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი, ისევე, როგორც წინა საკითხი, ეხება გარე რეკლამებთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო ურთიერთობას. ამ შემთხვევაში საუბარია კომპანია „ალმასთვის“ ხელშეკრულების გაგრძელებაზე იმ ვადით, რაც იქნება იმ შემოსავლის საპირწონე, რომელიც კომპანიამ ვერ მიიღო პანდემიის დროს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სრული შეჩერების პერიოდში სარეკლამო სერვისით სარგებლობის შეზღუდვის გამო. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ხსენებული ვადა განისაზღვრა 29 თვით, თუმცა, მუნიციპალიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, კომპანიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის შედეგად, წარმოდგენილია ხელშეკრულების ვადის გაგრძელება 12 თვის ვადით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-11 მიკრორაიონის მე-2 კვარტლის კორპუსი N21ა-სა და კორპუსი N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.02.020.004 და N01.12.02.020.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 561 კვ.მ. ფართის გადაცემა ცამეტი პირისთვის, რომლებიც 2008-12 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისში, დოლობერიძის ქუჩა N67-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.034.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 262 კვ.მ. ფართის გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც 1984-85 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N67-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.10.006.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 208 კვ.მ. ფართის გადაცემა ოთხი პირისთვის, რომლებიც 2002-07 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, ნორიოს აღმართის N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.03.055.014.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 66 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 11 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, პოლიციის ქუჩა N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.22.007.052) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე თამარ მელიქიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია 221 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი პირისთვის, რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

